



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოგუაძე ჯემალ მელქისედეკის ძე

გოგუაძე ჯემალ მელქისედეკის ძე (16. I. 1939, სოფ. ჭყონაგორა, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, - 19. XI. 2000, თბილისი), ტრავმატოლოგ-ორთოპედი. მედ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1996), საქართვე. მედიცინის მეცნ. აკადემიის წევრი (1998), ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნ.-კვლ. ცენტრის დირექტორი (1997-2000). 1963 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი. 1966-68 ჩაირიცხა მოსკ. ცენტრ. ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ინ-ტის ორდინატურაში, შემდეგ მუშაობა განაგრძო თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის კათედრაზე. 1994-იდან იყო ამავე კათედრის გამგე, 1997-2000 - რესპ. მთ. ტრავმატოლოგ-ორთოპედი. არის 10 გამოგონებისა და ერთი მონოგრაფიის ავტორი („სამხედრო საველე ქირურგიის საკითხები“, თბ., 1999).
